



თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა კურსების კატალოგი

ადამიანური კაპიტალის მართვა და ორგანიზაციის განვითარება

მიზანი:

ადამიანების და მათი ინტელექტუალური კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული პროცესების ანალიზი და შესწავლა ერთიანი მენეჯმენტის ციკლში. გუნდის განვითარებასა და ადამიანები მართვასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარების/კომპეტენციების განვითარება.

განსახილველი საკითხები:

- ინდივიდის და გუნდის ქცევის ანალიზი - მეთოდები და პრაქტიკა;
- მოტივაცია - პირდაპირი და ირიბი მოტივაცია, ინდივიდუალური მოტივაციის წყაროები და ორგანიზაციული მოტივაციის მეთოდები;
- ურთიერთობების მართვა - კონფლიქტური და სტრესული სიტუაციების მართვა, თანამშრომლობისა და ნდობის განვითარება;
- საქმიანობის მართვა იდეიდან - განხორციელებამდე (ადამიანების ინტელექტუალური რესურსის რაციონალური გამოყენება მენეჯმენტის საშუალებით) იდეის ფორმირება და თანამშრომელთა გაერთიანება, სამუშაოს დაგეგმვა, საქმიანობის ორგანიზება - დელეგირება და სამუშაოს განაწილება, სამუშაოს შესრულების პროცესის მართვა და ხარისხის შეფასება;
- ეფექტური კომუნიკაცია - ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია;
- საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების განხილვა.

სასწავლო ამოცანები:

- გაეცნობიან ადამიანების მართვის თანამედროვე მოთოდებსა და ინსტრუმენტებს და გაიღრმავებენ ცოდნას ადამიანების მართვის ხელოვნებასთან დაკავშირებით;
- განავითარებენ ადამიანების მართვის პროცესების ორგანიზებისთვის გუნდის შესაძლებლობების რაციონალურად გამოყენებისთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარებს;
- შეისწავლიან კომპეტენციებისა და ტალანტის მართვის, საქმიანობის პროცესუალური მართვის, გუნდის და მოტივირებისა და განვითარების თანამედროვე მეთოდებს მათი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით;
- ისწავლონ პრობლემური ურთიერთობებისა და სტრესული სიტუაციების მართვა;
- აიმაღლებენ ცოდნას კეთილსინდისიერი საქმიანობის შესახებ და გაეცნობიან კეთილსინდისიერების ამაღლებისთვის აუცილებელ პრაქტიკურ ქეისებს.
- გააცნობიერებენ ორგანიზაციული კულტურის შექმნასა და განვითარებაში საკუთარ ინდივიდუალურ როლსა და პასუხისმგებლობებს;

კურსის შედეგად განვითარებული უნარები:

- ადამიანების მართვის თანამედროვე მოთოდებსა და ინსტრუმენტების პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- პრობლემური და სტრესული სიტუაციების მართვა.

სწავლების ფორმა: სალექციო კურსი.

სწავლების მეთოდოლოგია:

- ლექციები
- როლური თამაშები
- სიტუაციური თამაშები
- ქეისებისა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების განხილვა;
- სწავლება კეთების მეთოდი

სამიზნე აუდიტორია: თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის სპეციალისტები, სტრატეგიული და შუა რგოლის მენეჯერები.

კურსის ხანგრძლივობა: 3 დღე

მონაწილეთა რაოდენობა: 20.

სწავლების ენა: ქართული.

კოდი: HRMOD-2021